THE VILLAGE OF KSANI VALLEY FROM THE HISTORY OF IKOTI

ქსნის ხეობის სოფელ იკოთის ისტორიიდან

David Akhlouri
Doctor of History
Associate Professor of Gori State University, Gori, Georgia
ORCID: 0000-0002-1068-4042
(+995)568990779; datoakhlouri@gmail.com

Abstract

The paper talks about the historical village of Oti in the Ksani Gorge, which is located in the occupied Akhalgori Municipality.

In this one of the oldest villages of Georgia, traces of the inhabitants go back to the Bronze Age. The silver rayed earring and bronze pendant found in Ikoti are the treasures of our country and are preserved in the State Museum of Georgia.

According to Georgian and foreign censuses of the XVll-XlXcenturies, talking about low demographic and economic development, social relations, peasants and taxes in Ikoti. The company, part of the village is on the land of the landlord Eristavi, and part is the Fitskhelauris, who are the landlord of the part of the village and has reached its Akhalgori mouravo. It is about what role the Fitkhelauri people played in Saeristavo and in the whole world, what kind of relationship do you have with the Eristavs of Ksani. It is also worth noting that the serfs of Fitkhelauri did not pay the treasury tax, they are responsible for the landlords, which in a way makes them irresponsible and influential.

Speaking about the demographic situation of the village, letters from different periods are compared. It is shown how the demographic picture of the village has changed over the years, how far several clans have gone, how many districts the village was divided into, what was the situation here before the August 2008 war and what is the situation today, after the occupation of the majority of Akhalgori.

Key words: Ksani valley, description, Eristavi, Mouravi, Komli, occupation.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი. გორი, საქართველო.
ORCID: 0000-0002-1068-4042
+995568990779; datoakhlouri@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ქსნის ხეობის ისტორიული სოფლის - იკოთის შესახებ, რომელიც ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტში მდე_ ბარეობს.

საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს სოფელში ნამოსახლარების კვალს ბრინჯაოს ხანამდე მივყავართ. იკოთში აღმოჩენილი ვერცხლის სხივებიანი

საყურე და ბრინჯაოს საკიდი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

XVII- XIX საუკუნეების ქართული და უცხოური აღწერების მიხედვით საუბარია იკოთში არსებულ დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ვითარებაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, გლეხთა კატეგორიებსა და გადასახადებზე. ჩანს, რომ სოფლის მოსახლეობის ნაწილი მემამულე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა, ნაწილი - ფიცხელაურების, რომლებიც ამ სოფლის მკვიდრნი იყვნენ და თავის დროზე ახალგორის მოურავობამდეც მიაღწიეს. საუბარია, თუ რა როლს ასრულებდნენ ფიცხელაურები საერისთავოსა და ქვეყნის ცხოვრებაში, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქსნის ერისთავებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ფიცხელაურების ყმები სახაზინო გადასახადს არ იხდიდნენ, ისინი მემამულეების წინაშე იყვნენ უშუალოდ პასუხისმგებელნი, რაც ერთგვარად მათ შეუვალობასა და გავლენაზე მიგვანიშნებს.

სოფლის დემოგრაფიულ ვითარებაზე საუბრისას, ერთმანეთთან შედარებულია სხვადასხვა პერიოდის აღწერები. ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში სოფლის დემოგრაფიული სურათი, რა გზა გაიარა თითოეულმა გვარმა იკოთში დამკვიდრებამდე და შემდგომ პერიოდში, რამდენ უბნად იყო დაყოფილი სოფლის მოსახლეობა, რა ვითარება იყო აქ 2008 წლის აგვისტოს ომამდე და რა ვითარებაა დღეს, ახალგორის მხარის ოკუპაციის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: ქსნის ხეობა, აღწერა, ერისთავი, მოურავი, კომლი, მოსახლეობა, ოკუპაცია.

შესავალი

სოფელი იკოთი მდებარეობს ახალგორის ჩრდილოეთით, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 960 მეტრზე. მიეკუთვნებოდა ბოლის თემს (იკოთი, 1979: 104-105). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

იკოთში მოსახლეობის კვალი ბრინჯაოს ხანიდან იკვეთება, თუმცა ისტორიულ წყაროებში შედარებით გვიან, XVII საუკუნიდან იხსენიება. იკოთი, ისტორიულად, ქსნის საერისთავოს იმ სოფლების რიგში იყო, რომლებიც წილკნის საეპისკოპოსოს მიეკუთვნებოდა. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ქსნელი აზნაურები - ფიცხელაურები. ისინი წარმოშობით ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან ყოფილან, საიდანაც ჯერ გუდამაყრის სოფელ ბაკურხევში, შემდეგ კახეთის სოფლებში, თიანეთში, ხევში და ბოლოს ქსნის ხეობაში დამკვიდრებულან. მათ აქ მოუყოლებიათ თავიანთ ყმები: გიგაურები და ბაშარულების წინაპარი წიკლაურები. ქსანზე მათი ქონება და შემოსავლები კიდევ უფრო გაიზარდა, რაც საშუალებას აძლევდათ შეეძინათ მეტი ყმა-გლეხები და შეესყიდათ მამულები. სწორედ ფიცხელაურების ოჯახში ინახებოდა საქართველოს ისტორიის უნიკალური წყაროები, მათ შორის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის

ხეობის დემოგრაფიული და სოციალური ურთიერთობების შესახებ.

ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციის მიუხედავად, იკოთში აგრძელებს მოღვაწეობას წმინდა ბერის - ალექსი შუშანიას სახელობის დედათა მონასტერი, რომელიც 2003 წლის 10 ივნისს ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტის, ისაიას ლოცვა-კურთხევით დაარსდა ქსნის ერისთავთა ყოფილ საზაფხულო სასახლეში.

უძველესი ქართული სოფლის - იკოთის წარსულის კვლევა არის ნაწილი ჩვენი მონოგრაფიული ნაშრომის, რომელიც ქსნის ხეობის სოფლების ისტორიას ეძღვნება და იწყება 2021 წლიდან (გამოიცა უკვე სამტომეული) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული ქართული და უცხოური წყაროების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, სოფელში წლების მანძილზე არსებული ისტორიული ვითარება, დემოგრაფიული და სოციალური სურათი, მცხოვრებთა ეკონომიკური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება იკოთში მცხოვრებთა სახელების და გვარების დაზუსტებასა და შიდა მიგრაციის რუკის განსაზღვრაში. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის სოფლების წარსულის შესახებ არცთუ ისე ვრცელი მასალაა ჩვენამდე მოღწეული. სამწუხაროდ, საკითხის კვლევა კიდევ უფრო რთულდება 2008 წლის შემდეგ, ოკუპაციის პირობებში, მაგრამ ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელი იყო თითოეული სოფელი, იქ მდებარე სალოცავები, ციხე-კოშკები, მოსახლეობის რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, რაც გარკვეულ წილად მიადვილებს ჩვენამდე მოღწეული წყაროების გავრცობასა და არაერთი ფაქტის ახლებურად წარმოჩენა-დაზუსტებას.

ნაშრომში მოძიებულია ცნობები იკოთის წარსულის, სოფლის ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკებისა და სხვა ისტორიული ნაგებობების შესახებ, მითითებულია მათი ადგილმდებარეობა და დანიშნულება.

შესწავლილია თავადებისა და მათი ყმების ურთიერთობები, მეურნეობის ტრადიციული დარგები... გამოკვეთილია გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები.

ხაზგასმითაა საუბარი იმ ეროვნულ საგანძურზე, რომელიც სოფლის სალოცავებსა და მოსახლეობაში ინახებოდა.

სათანადო კვლევაა ჩატარებული იკოთში მცხოვრებთა შორის მოხსე-

ნიებული გვარების წარსულის შესასწავლად, დემოგრაფიული მონაცემების დასაზუსტებლად.

დაბოლოს, საუბარია სოფლის დღევანდელობაზე და იმ მძიმე შედეგებზე, რაც 2008 წლის აგვისტოს ომსა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციას მოჰყვა.

მსჯელობა

სოფელ იკოთში მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა, რასაც იქ აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს. 1955 წელს ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითმა ექსპედიციამ ქსნის ხეობაში რამდენიმე ნამოსახლარ გორას მიაკვლია და აღნუსხა. იკოთში ბრინჯაოს ხანის ფენები დადასტურდა (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი, 1960: 185-196).

იკოთი მოხსენიებული აქვს XVIII საუკუნის გერმანელ მოგზაურს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, იგი ახდენს სოფლის ლოკალიზაციას და მიგვითითებს, რომ მდებარეობს მდინარე გუმაელაზე (ბუნელა - დ.ა.), ლორწობნის მთის დასავლეთ ძირთან (გიულდენშტედტი, 1964: 49) და ემორჩილება ქსნის ერისთავს (გიულდენშტედტი, 1964: 275).

იკოთისაკენ მიემართებოდა ახალგორიდან „სამოქალაქო გზის“ ჩრდილოეთის გაგრძელება. გაივლიდა კორინთას, ლარგვისს, ქარჩოხს და ქარჩოხიდან ლომისის გადავლით არაგვის ხეობას, დარიალს და ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა. ქარჩოხიდან მდინარე ქსნის მიმართულებით, დასავლეთით გზას ჟამურის ხეობაში მივყავდით.

ახალგორიდან იკოთის გავლით გადავდივართ რატიშვილების სამფლობელოში - ყანჩავეთში, საიდანაც ქოლოთ-ქვითკირისა და ისროლის ხეობების გავლით გზა მიემართებოდა მეჯვრისხევში.

ახალგორიდან იკოთისა და კორინთის გავლით დაკავშირება ხდებოდა ალევისა და საფერშეთის ხეობებთანაც. საფერშეთის მეშვეობით კი ფასანაურთან (ახლოური, 2022: 100).

სოფელში რამდენიმე ღირშესანიშნავი ძეგლი მდებარეობს, მათ შორის, გარდამავალი ხანის ახშადის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს და წმინდა მარინეს ეკლესიები, რიყის ქვით ნაგები კოშკი მოურავ ფიცხელაურების კარ-მიდამოში, ერისთავების ყოფილი სასახლე და სხვა, რომლებიც ცალკე განხილვის საგანია

1669 წლის წილკნის სარგოს სიგელის მიხედვით იკოთი ქსნის საერისთავოს იმ სოფლების რიგშია, რომლებიც წილკნის საეპიკოპოსოში შედიოდა. განწესების თანახმად: „ქ. ი კ ო თ ს: ფიცხელაურები სახლის უფროსნი კაცნი, ან მოხელენი თ(უ) მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი, ორი წას(ა)ხურავი - ერთი წილკნელისა, ერთი თავისი, სუფრის იარაღი და თასი. აგრევე იმათი მეუღლისა საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურავი - ესენი წილკნელს უნდა მიართონ. თუ სახლის უმცროსი, ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ. ღვდელმა ერთ დღეს მასპინძლობა, ხარი და

ცხვარი. სოფელს: ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა შულო ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მამამთავარი და მსახური, ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს, საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეევ იმათი ცოლების საწირავი, რაც შეეძლოთ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვ(ე)წეროს, ისე გამოართვით" (ჯავახიშვილი, 1974: 37).

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში იკოთი მოხსენიებული უნდა იყოს იკუდის სახელწოდებით, რომელიც ეკუთვნის შანშე ქსნის ერისთავს. იქვე მითითებულია სოფელი იკორთაც (არცევის თემი, ერედვის მუნიციპალიტეტი). იგი ასევე ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო ფეოდალურ ხანაში, ხოლო იკორთის ძველი ქართული მართლმადიდებლური ტაძარი - ერისთავთა საძვალე გახდა მას შემდეგ, რაც ქსნელმა დიდებულებმა - ქვენიფნეველებმა საერისთავოს სამხრეთით განახორციელეს ექსპანსია...

თურქული დავთრის მიხედვით იკუდში (იკოთში) 9 კომლია დაფიქსირებული:

„სოფელი იკუდი, ექვემდებარება შანშას.

ნიკოლოზ ძე ბერისა ზურაბ ძე ბერისა
ბაბუნა ძე ამხურასი გიორგი ძე ბაბასი
გიორგი ძე შალიკასი ბელია ძე ავთანდილისა
სახელა ძე ჯიუსი ზურაბ ძე გიორგისა
შიო ძე ამხურასი

კაცი 9

ჯამი მარცვლეულისა

ისფენჯი კაცი 9 ახჩა, 1080 გადასახადი ცხვარზე 200
ხორბალი ქილა 80 ახჩა, 1600 გადასახადი თივაზე 90
ქერი ქილა 50 ახჩა, 750 დეშთიბანი მიწაზე თაფუს გადასახადი 120
ჭვავი ქილა 20 ახჩა 300 გადასახადი ღორზე 100
ფეტვი ქილა 20 ახჩა 300 ბადიჰა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ,
გადასახადი ერბოზე 200 ბეითალმალი ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ 200
გადასახადი სკაზე 90
არუსანეს გადასახადი 120

ჯამი 5150“ (თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009: 421).

აღწერიდან ჩანს, თუ რა საქმიანობას მისდევდნენ იკოთელები XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. მარცვლეული კულტურებიდან მათ მოჰყავდათ: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მისდევდნენ მესაქონლეობას, მეღორეობას, მეფუტკრეობას.

გადასახადის ოდენობა განისაზღვრებოდა თურქული ვერცხლის ფულის ახჩის მეშვეობით. ისფინჯი ქრისტიანისთვის საკომლო გადასახადი იყო, რომელიც დასამუშავებელი მიწის ნაკვეთის გამო უნდა გადაეხადა, იგი ეკისრებოდა კომლის ყველა სრულწლოვან წევრს. მისი გადახდის გარეშე მიწის დამუშავებას ვერავინ გაბედავდა (გაბაშვილი, 2018: 229). არუსანე საქორწინო გადასახადია, რომლითაც პირველი ღამის უფლება უნდა გამოესყიდათ. მუსლიმანებში მისი ოდენობა,

ძირითადად, განისაზღვრებოდა 60 ახჩის ოდენობით ქალწულისთვის, 30 ახჩა - ქვრივისთვის. თურქი დიდგვაროვნებისთვის თურქი ქალები, „მეტი ღირსებებიდან გამომდინარე“, ქრისტიანებზე ძვირად ფასობდნენ. სხვა ეროვნების ქალებს ხშირად ჰარამხანებისთვის ამზადებდნენ... თუ საქმრო არამუსლიმან ქალს შეირთავდა, საქორწინო გადასახადი ქალწულ ქალისთვის 30 ახჩა იყო, არაქალწულისთვის - 25 ახჩა (შენგელია, 1974: 200). დეშთიბანი ველზე დაწესებული გადასახადი იყო, თაფუ მიწის ნაკვეთის ერთი მფლობელიდან მეორეს ხელში გადასვლის შემდეგ გაიღებოდა. „თაფუ მამიდან შვილზე გადადიოდა. მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში მიწისმფლობელი მიწას აძლევდა რეიას ახლო ნათესავს თაფუს საფუძველზე. პირდაპირი მემკვიდრე - შვილი მიწას იღებდა თაფუს გარეშე. კანონთა წიგნში თაფუს შესახებ ნათქვამია: „უკეთუ რეიადან კვდება ვინმე და მას მიწა რჩება (ეს მიწა) შვილზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა. თუ მას შვილი არ ჰყავს, მის ძმაზე არ გადადის, თაფუს წესებს დაექვემდებარება. მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ (მიწა) სხვას არ გადაეცემა“. თაფუს საფუძველზე მიწა ქალიშვილსაც შეეძლო მიეღო, თუ დაუმუშავებელს არ დატოვებდა და გადაიხდიდა „ბეჰრესა და გამოსაღებს“ (შენგელია, 1960: 286)... ბადიჰა სხვადასხვა გადასახადებს აერთიანებდა, ჯურუმ ჯიბაიეთ - დანაშაულზე გადასახადი იყო, იავა ვე კაჩკუნ - მამულიდან აყრილ გლეხზე იყო დაკისრებული, ბეითალმანი უმემკვიდრეოდ გადაგებული კაცის ქონებას ნიშნავდა.

ერთი სტამბოლური ქილა 25 კილოგრამით განისაზღვრებოდა (ლაცაბიძე, 2022: 4). იკოთელებს დაკისრებული ჰქონდათ:

80 ქილა ხორბალი ანუ 2000 კილოგრამი, რაც 1600 ახჩას შეეფარდებოდა (1 კგ. ხორბალი = 0,8 ახჩას), ერთ კაცზე საშუალოდ - 222,22 კგ.

50 ქილა ქერი ანუ 1250 კგ. 750 ახჩა (1კგ. ქერი = 0,6 ახჩას) ერთ კაცზე საშუალოდ 138,88 კგ.

20 ქილა ჭვავი ანუ 500 კგ. 300 ახჩა (1კგ. ჭვავი = 0,6 ახჩას) ერთ კაცზე საშუალოდ 55,55 კგ.

20 ქილა ფეტვი ანუ 500 კგ. 300 ახჩა (1კგ. ფეტვი = 0,6 ახჩას) ერთ კაცზე საშუალოდ 55,55 კგ.

„თურქული ხარკი“ მთლიანობაში მძიმე ტვირთი უნდა ყოფილიყო ქართველი გლეხკაცისთვის.

იკოთის მოსახლეობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში. 1774 წლის მონაცემებით იკოთის მკვიდრნი არიან:

„იკოთს ქსნის ერისთვის ყმა:

ქ: ბაშარული კიკოს შვილი კომლი ა თავი ვ მამუკა, ზურია გიორგი მახარებელი დემეტრე და ნინია მსახური

აქავ ბაშარული ელისბარას შვილი კომლი ა თავი ა ხიზანა მსახური

აქავ ბაშარული კომლი ა თავი ბ დათუნა და ივანე მსახური

აქავ ბაშარული რამაზას შვილი კომლი ა თავი გ გარსევან ბერი და თადილა მსახური

აქავ გვრიტიანთ გიორგის შვილი კომლი ა თავი გ ზურაბა მგელია და ბერი მსახური

აქავ გვრიტიანთ პაპალას შვილი კომლი ა თავი ა ბერი მსახური

აქავ გვრიტიანთ ბერანას შვილი კომლი ა თავი ა ტიბულა მსახური

აქავ გვრიტიანთ შერმაზანის შვილი კომლი ა თავი ა ბერუკა მსახური

აქავ გიგაური ციხელას შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და თორელა მსახური

აქავ ზანგურანთ გაბრიელას შვილი კომლი ა თავი დ მღვდელი გიორგი ივანე ოთარ და ისე მსახური

აქავ ბაშარული ნადირის კომლი ა თავი ა წესიარა მსახური

აქავ გიგაური გამახარეს შვილი კომლი ა თავი გ იორამ პატარკაცი და გოგია მსახური

აქავ გიგაური პაპუნას შვილი კომლი ა თავი ბ გივი და გოგია მსახური

აქავ გიგაური გოდერძის შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და დათუნა მსახური

აქავ გიგაური მამის იმედას შვილი კომლი ა თავი ა ბერი მსახური

აქავ გიგაური პაპალას შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და ბერი მსახური

აქავ გიგაური ავთანდილის შვილი კომლი ა თავი ა ბეენა მსახური

აქავ გიგაური დათოს შვილი კომლი ა თავი გ მამუკა გრიგოლ და ბერი მსახური

აქავ გიგაური ბეჟუას შვილი კომლი ა თავი ბ ბასილა და ბერი მსახური

აქავ გიგაური ოთარის შვილი კომლი ა თავი ბ გიგა და ფოცხვერა მსახური

აქავ გიგაური დათუნას შვილი კომლი ა თავი გ თორელა ტიტინა და გოგია მსახური

აქავ გიგაური ჩიტას შვილი კომლი ა თავი ა ბერი მსახური

აქავ ბოგანო ხუციან ქიტესას შვილი კომლი ა თავი ბ პეტრე და მახარა

აქავ ხიზანი კორინთლის ყმა ირტოზელი მაჩხიძე კომლი ა თავი ა ძაღლუა

აქავ ხიზანი კათალიკოზის ყმა გრდანელი კომლი ა თავი ა ხიზანა

აქავ ხიზანი არაგვის ერისთვის ყმა წვერეველი ყალაის შვილი კომლი ა თავი ა ბეჟანა

აქავ ხიზანი ბურდულის ყმა ლეკისაგან მოსყიდული კომლი ა თავი ა თამაზა

აქავ ხიზანი ბეენას ყმა რატის შვილებისაგან ნასყიდი გოჩას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და ლაზარე

აქავ ხიზანი ბეენას ყმა რატის შვილებისაგან ნასყიდი და ბეენასაგან თავდახსნილი გოჩას შვილი კომლი ა თავი გ ბერუცა ბერი და გიორგი

აქავ ხიზანი ბეჟან რატის შვილის ყმა წრიელი ჩიტუკას შვილი კომლი ა თავი ა ზურაბა

აქავ ხიზანი ბეჟან რატის შვილის ყმა წრიელი ჩიტუკას შვილი კომლი ა თავი ა ივანე

აქავ ხიზანი არაგვის ერისთვის ყმა ეთვალის ჩხუტიანთ ხიზანას შვილი კომლი ა თავი ა ზაზა

ქ: აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური შოშის შვილი კომლი ა თავი ა ბეჟან

აქავ ამისი ყმა ნიაურელი პაპუნას შვილი კომლი ა თავი ე გიორგი ბერი დათუნა ელისბარ და გოგია

აქავ ამისი ყმა ნიაურელ ბერის შვილი კომლი ა თავი დ ფოცხვერა შერმაზან ბერი და გიორგი

აქავ ამისი ყმა ნიაურელ ირემას შვილი კომლი ა თავი ბ ძაღლუა და თადილა

აქავ ამისი ყმა მილაძე შიოლას შვილი კომლი ა თავი გ გიორგი ცუცუნა და პავლია

ქ: აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური ავთანდილის შვილი კომლი ა, თავი გ: არჯევან, რამინ და დათუა.

აქავ ამისი ყმა ბაშარული მამუკას შვილი, კომლი ა, თავი დ: ცუცუნა, ქიტესა, პატარკაცი და ივანე.

აქავ ამისი ყმა ბაშარული გამიხარდის შვილი, კომლი ა, თავი ა, ბერიკა

აქავ ამისი ყმა გვრიტიანთ თადილას შვილი, კომლი ა, თავი ა, ისე

აქავ ამისი ყმა დვალიანთ ბერის შვილი კომლი ა თავი ა ბეჟანა

ქ: აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური ლომის შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და ივანე

ერედვას ამის ყმა გიგაური ბუჭის შვილი კომლი ა თავი ა დათუნა

ქ: აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური იოსების კომლი ა თავი ბ საამ და თადია

აქავ მისი ყმა ბაშარული შალვას შვილი კომლი ა თავი ა ბასილი

ქ: აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური ზაალის შვილი კომლი ა თავი ა ბერი

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი ლბ თავი ო

იქნა ბოგანოს ჯამი კომლი ა თავი ბ

იქნა მემკვიდრე აზნაურიშვილის ჯამი კომლი ე თავი თ

იქნა ხიზნის ჯამი კომლი თ თავი იბ" (თაყაიშვილი, 1951: 52-54).

1774 წლის აღწერაში იკოთის მცხოვრებთა შორის გამოკვეთილია გლეხთა რამდენიმე კატეგორია, ძირითადი ნაწილი - მსახურია (22 კომლი), ასევე ვხვდებით ბოგანოებს, ხიზნებს. მსახურთა ინსტიტუტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში, იგი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო დაფასებული ჩანს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით მსახურის სისხლი შეფასებულია 1000 თეთრად, გლეხის სისხლი - 400 თეთრად, ხოლო აზნაურის - 12000 თეთრად (ხომ არ ჯობდა ამ სამართლის წიგნის ბოლო აკადემიური გამოცემის მითითება: ქართული სამართლის ძეგლები.ტ.1.(1961). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. ჩუბინაშვილი, 1846: 210). მსახურის ძირითადი მოვალეობა გახლდათ ლაშქრობისა და ნადირობის დროს მებატონის გვერდით ყოფნა და ძღვენის მირთმევა: „არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არაფერი ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და

მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხუო" - ვკითხულობთ რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩაშვილისადმი გაცემულ XVII საუკუნის სითარხნის წყალობის წიგნში (დოკუმენტები, 1940: 20). ანუ, შეიძლება ითქვას, რომ იკოთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი შედარებით პრივილეგირებულ გლეხთა კატეგორიიდან იყო, რადგან მსახური შეძ-ლებულ გლეხს უტოლდებოდა. მას მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობისა და თავადის კარზე სამსახური უნდა გაეწია. საინტერესოა მსახურთან დაკავშირებული დ. გვრიტიშვილის მოსაზრება: „არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ მსახურთა სახით თავადებს ჰყავდათ შეიარაღებული ამალა, რომელსაც იყენებდნენ როგორც ურჩი ყმების დასასჯელად, ისე მეზობელ ფეოდალებიდან საკონფლიქტო საკითხების ძალით გადაჭრისათვის" (გვრიტიშვილი, 1955: 188). თუ გავითვალისწინებთ, რომ იკოთი გახლდათ სამკვიდრო ფიცხელაურების, რომლებიც ქსნის ერისთავების აზნაურები და ამასთან ოპოზიციონერებიც იყვნენ, არაა გასაკვირი, ქსნისხეველ მებატონეებს გაეძლიერებინათ ამ სოფელში მსახურთა ინსტიტუტი, როგორც საიმედო დასაყრდენი ძალა.

აღწერაში საუბარია აგრეთვე „ლეკისაგან მოსყიდულ" და რატიშვი-ლებისაგან ნასყიდ ყმებზე. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით: „ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა და „ნასყიდი ყმა" პატრონის კერძო მეურნეობისა და გამჭრიახობის ნაყოფი იყო. ამგვარი ყმის შეძენა პატრონის ქონებრივ ძალასა და ხერხიანობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა უფრო კერძოუფლებრივისა და კერძო მეურნეობითი ხასიათის მოვლენად გვეჩვენება." (ჯავახიშვილი, 1928: 90). როგორც ჩანს, ბურდულის ყმა ლეკებისგან დატყვევებული უნდა გამოესყიდა ქსნელ მებატონეს, სხვა შემთხვევაში კი რატიშვილებისაგან გამოუსყიდია ორი კომლი: „აქავ ხიზანი ბეენას ყმა რატის შვილებისაგან ნასყიდი გოჩას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და ლაზარე" და „აქავ ხიზანი ბეენას ყმა რატის შვილებისაგან ნასყიდი და ბეენასაგან თავდახსნილი გოჩას შვილი კომლი ა თავი გ ბერუცა ბერი და გიორგი"... წყაროში მოხსენიებული ბეენა გვარად გიგაური იყო, ქსნის ერისთავის ყმა. გაბრიელ რატიევისა და შანშე ერისთავის 1810 წლის გარიგების წიგნის მიხედვით, ბეენა უშვილო კაცი ყოფილა და მის მიერ ნაყიდი დათუნა გოჩაშვილის შთამომავლები შემდგომში რატიშვილებსა და ერისთავებს შორის დავის მიზეზი გამხდარან, რაც იმით დასრულდა, რომ რამდენიმე თაობის შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, ყმების ნაწილი გაბრიელ რატიევმა ივანე ბოდბელს მიჰყიდა, ნაწილი კი შანშე ერისთავს დარჩა (დოკუმენტი №7486: 460-461). იკოთს შემოხიზნულები არიან აგრეთვე: კორინთელის, კათალიკოსის, არაგვის ერისთავის და ბეჟან რატიშვილის ყმები. როგორც ვიცით, ხიზანი მიწის არმქონე გლეხი იყო, რომელიც მებატონისგან იჯარით იღებდა მიწას და ამით ირჩენდა თავს. იკოთში ცალკე კომლებად არიან აღწერილნი აზნაურიშვილი ფიცხელაურები - 5 კომლი, ყველა კომლს, ბერი ზაალის ძე ფიცხელაურის გარდა, თავის ყმა ჰყავდა. უფრო შეძლებული ბეჟან შოშის ძე ფიცხელაურისა და ავთანდილ ფიცხელაურის (რომელშიც შედის არჯევან

ფიცხელაური) ოჯახები ჩანან, მათ მფლობელობაში ყმების 4-4 ოჯახია. ლომი ფიცხელაურის ოჯახს ყმა ერედაშიც ჰყოლია: „ერედვას ამის ყმა გიგაური ბუჭის შვილი კომლი ა თავი ა დათუნა". ერედვა - ერედა სახელწოდებით სოფლებს ვხვდებით ახალგორისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, ასევე გავიხსენოთ ცხინვალის რეგიონის სოფელი ერედვი, რომელიც დღეს ოკუპირებულია. ჩვენს შემთხვევაში საუბარია ახალგორის სოფელ ერედაზე, რომელიც დაბის ცენტრიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და 2008 წლის აგვისტოს ომამდე ბოლის თემის საკრებულოს ექვემდებარებოდა... მთლიანობაში, იმ დროისთვის ფიცხელაურების განკარგულებაში 10 ოჯახი იყო.

1783 წლის აღწრით, იკოთის მცხოვრებთა რიცხვი 45 ოჯახია ანუ მცირედითაა შემცირებული. უზუსტობაა სოფლის სახელწოდებაში, იკოთის ნაცვლად იკორთია მითითებული, როგორც თაყაიშვილის, ისე ივანე ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ წყაროებში. ასევე, კომლები მითითებულია როგორც გვარებით, ისე მამისშვილობითაც:

„იკორთიდამ

ქ. კიკოს შვილი კომლი ა თავი დ გიორგი მახარებელი დემეტრე და ნინია

აქავ ბაშარული კომლი ა თავი ა ივანე

აქავ ბაშარული კომლი ა თავი ა ხიზანა

აქავ ბაშარული კომლი ა თავი დ ნალეკარი ბერი შიო და ივანე

აქავ ბაშარული გარსევანის შვილი კომლი ა თავი ბ ღვთისავარ და შიო

აქავ გვრიტის შვილი კომლი ა თავი ბ ზურაბა და ელისბარ

აქავ პაპალას შვილი კომლი ა თავი ა ბერი

აქავ გვრიტის შვილი კომლი ა თავი ა ბიტულა

აქავ გვრიტის შვილი კომლი ა თავი ა ბერუკა

აქავ გიგაური კომლი ა თავი ა თვარელა

აქავ გიგაური კომლი ა თავი ბ გოგია და ბერი

აქავ მაწიას შვილი კომლი ა თავი ა გოგია

აქავ მაწიას შვილი კომლი ა თავი დ ბერი დათუნა შიო და გლახა

აქავ გიგაური მამუკას შვილი კომლი ა თავი ბ გრიგოლ და ბერი

აქავ გიგაური ბასილას შვილი კომლი ა თავი ა ივანე

აქავ გიგაური კომლი ა თავი ა ფოცხვერი

აქავ გიგაური კომლი ა თავი ა გიგა

აქავ გიგაური თვარელის შვილი კომლი ა თავი ბ ტოტინა (ტიტინა - ჯავახ., 1967: 220 - დ.ა.) და გოგია

აქავ გიგაური კომლი ა თავი გ ბეენა ბერი ამისი გერი გლახა

აქავ ურჯუკას შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და პეტრე

აქავ ხუცის შვილი კომლი ა თავი ა მახარა

აქავ გიგაური კომლი ა თავი (ა) შეუძლებელი მემარნე ბერი

აქავ გვრიტის შვილი კომლი ა თავი (ა) შეუძლებელი ბერი

აქავ გიგაურის ჩიტას ობოლი (კომლი ა) თავი ა ნინია

აქავ ბოგანო თათრის შვილი კომლი ა თავი ა თამაზა

აქავ ბოგანო ბუჯიას შვილი კომლი ა თავი ა ღვთისავარ

აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური კომლი ა თავი ბ ბეჟან და ამირან

აქავ ამისი ყმა ინაური კომლი ა თავი დ ბერი დათუნა ელისბარ და იესე

აქავ ამისი ყმა ინაური კომლი ა თავი ა ძაღლია

აქავ ამისი ყმა ინაური ფაცხვერის (ფოცხვერის - ჯავახ., 1967: 220 - დ.ა) შვილი კომლი ა თავი გ (sic - ერთი პირი გამორჩენილია - დ.ა.) ბერი და გიორგი

აქავ ამისი ყმა ინაური კომლი ა თავი ა შერმაზან

აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური კომლი ა თავი ბ არჯევან და დათუა

აქავ ამისი ყმა ბაშარული კომლი ა თავი ბ ცუცუნა და ქიტესა

აქავ ამისი ყმა ბაშარული კომლი ა თავი გამაზარდი, ბ (sic - ერთი პირი გამორჩენილია, ამასთან, ჯავახიშვილის რედაქციაში მითითებულია - გამიხარდი (ჯავახ., 1967: 220 - დ.ა.)

აქავ ამისი ყმა გვრიტის შვილი კომლი ა თავი ა იესე

აქავ ამისი ყმა დვალის შვილი კომლი ა თავი ა ბეჟან

აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური კომლი ა თავი ბ გიორგი და ივანე

აქავ ამისი ყმა ბუჯია შვილი (ბუჭიაშვილი - ჯავახ., 1967:220 - დ.ა.) კომლი ა თავი ბ გრიგოლ და დავით

აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური კომლი ა თავი ა საამ

აქავ ამისი ყმა ბაშარული კომლი ა თავი ა ბასილ

აქავ ამისი ყმა ბაშარული კომლი ა თავი ა წესიარი

აქავ აზნაურშვილი ფიცხელაური კომლი ა თავი ა ბერი

აქავ ზურაბ კორინთლის ყმა ბოგანო მაჩხიძე კომლი ა თავი ბ ძაღლუა და ბერი

აქავ ამისი ყმა ბოგანო კომლი ა თავი ა ხიზანა

აქავ ხიზანი ხადელი არაგველი კაიშაური ბეჟანას შვილი კომლი ა თავი ა ბერი

იქნა ჯამი მემკვიდრისა კომლი. ლდ. თავი ნე.

იქნა ჯამი აზნაურშვილისა კომლი. ე. თავი ეჰ.

იქნა ჯამი ბოგანოსი კომლი დ. თავი ე.

იქნა ჯამი მემკვიდრის ობლისა ა.

იქნა ჯამი ხიზნისა კომლი ა თავი ა. (თაყაიშვილი, 1955: 24-25; ჯავახიშვილი, 1967: 219-220).

მეორე აღწერისაგან მცირედ განსხვავებებს ვხვდებით ქსნის საერისთავოს მესამე აღწერაში. 1774 წლის აღწერასთან შედარებით 1783 წლის აღწერაში სოციალური ურთიერთობების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებებია. აღარაა გამოკვეთილი „მსახურის" კატეგორია, მკვეთრადაა შემცირებული ხიზანთა რაოდენობა, თუ 1774 წელს ხიზანთა რიცხვი 9-ს აღწევდა, 1783 წელს - მხოლოდ ერთია - ხადელი არაგველი კაიშაური ბეჟანას შვილი ბერი. გაზრდილია მხოლოდ ბოგანოთა რიცხვი, 1774 წელს ერთი კომლია (2 მამაკაცი), 1783 წელს - 4 (5 მამაკაცი). რამდენიმე ოჯახი იცვლის სტატუსს, მაგალითად: მახარე ხუციშვილი 80-იანი წლების აღწერაში ბოგანოთა რიცხვში აღარაა, კორინთელის ყმა ილტოზელი მაჩხიძე ჯერ ხიზანი იყო, შემდეგ ბოგანო გახდა... კვლავინდებურად 5 კომლია ფიცხელაურები. აზნაურიშვილებს ბეჟანს და ამირანს 4 კომლი ყმა ჰყავთ, გვარად ინაურები,

თუმცა, ისინი ნიაურები უნდა იყვნენ, როგორც მითითებულია 1774 წლის პირველ და 1783 წლის მესამე აღწერაში (ჯავახიშვილი, 1967: 242)... ასევე ოთხი კომლია არჯევან და დათუა ფიცხელაურების მფლობელობაში (2 კომლი ბაშარულების, თითო კომლი - გვრიტიშვილისა და დვალიშვილის), სხვებს უფრო ნაკლები ყმები ჰყავდათ...

რაც შეეხება გვარებს, ძირითადი მოსახლეობა იყვნენ ფიცხელაურები, ბაშარულები, გვრიტიშვილები, გიგაურები, ნიაურები, ზანგურაშვილები...

ქართლ-კახეთის აღწერაში იკოთი მეფის ძის იოანეს სააზნაურო მამულების რიგშია აღნუსხული (ბაგრატიონი, 1986: 36).

1803 წლის ივნისის საუფლისწულო აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით, იკოთში 33 ოჯახია დაფიქსირებული, 241 მოსახლით, აქედან 121 მამაკაცია, 120 - ქალი. უნდა ითქვას ისიც, რომ აღწერაში იკოთი ქარჩოხის ხეობის სოფლების რიგშია მითითებული, სხვა რამდენიმე ისეთ სოფელთან ერთად, რომლებიც ქარჩოხის ხეობას არ მიეკუთვნებიან, მაგალითად: კორინთა, ცხავატი, სამეგური, წირქოლი (Акты, 1868: 82)... ეს სოფლები ჭორჭოხის სამხრეთით მდებარეობს, ახალგორიდან ჩრდილოეთით მიმავალ გზაზე სწორედ ჭორჭოხია ქარჩოხის ხეობის კარიბჭე.

1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის ავტორები კი ყოფილ ქსნის საერისთავოში თეზისა და ოძისის შემდეგ იკოთის მოსახლეობის შესახებ გვაწვდიან ცნობებს და შემდეგ უბრუნდებიან სამხრეთით, ქსნის საერისთავოს ცენტრს - ახალგორს...

1804 წლის აღწერის მონაცემებით იკოთში 51 ოჯახიდან 33 კომლი ერისთავის მიწაზე ცხოვრობს, 18 კომლი - ფიცხელაურების. როგორც ვხედავთ, წინა აღწერებთან და, განსაკუთრებით, იოანეს საუფლისწულო აღწერასთან შედარებით, იკოთის მოსახლეობის რაოდენობა შესამჩნევადაა გაზრდილი. სხვაობა 1803 და 1804 წლების აღწერებს შორის 18 კომლია. სავარაუდოდ, იოანეს აღწერაში ფიცხელაურების ყმები არ გაუთვალისწინებიათ; აღვნიშნოთ ისიც, რომ ქსნელი აზნაურები წარმოშობით ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან არიან გადასახლებული ჯერ გუდამაყრის სოფელ ბაკურხევში, მოგვიანებით კი კახეთის სოფლებში, თიანეთში, ხევში, საიდანაც ქსნის ხეობაში დაემკვიდნენ და ახალგორის მოურავობამდეც მიაღწიეს.

მოურავი საკმაოდ გავლენიანი პიროვნება გახლდათ. „იგი მისთვის სამოურაოდ მიცემული ქალაქის უფროსი იყო" (გვრიტიშვილი, 1968: 363). მას ევალებოდა სამართალზე, ქალაქის მოვლასა და ბეჯითად გარჯაზე ზრუნვა (საქართველოს სიძველენი, 1910: 12). ქსნის საერისთავოში ერისთავისაგან დანიშნულ მოხელეს სასამართლო და ადმინისტრაციული საქმეები უნდა განეგო;

1754 წლის 23 იანვარს, დავით ქსნის ერისთავის ბრძანებით, ახალგორის მოურავად ინიშნება აზნაური არჯევან ფიცხელაური: „სამკვიდრო და საბოლოვო და ყოვლის კაცის მოუდევარი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ქსნის ერისთავმა, პატრონმან დ ა ვ ი თ და ბიძაშვილმა ჩემმან ყულარაღასმა გ ი ო რ გ ი და ძმამან ჩემმან ი ო ვ ა ნ ე მ და ი ე ს ე მ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდებით ნამსახურსა ყმასა ჩვენსა ფ ი

ც ხ ე ლ ა ურ ს ა ა რ ჯ ე ვ ა ნ ს, ძმასა შენსა ს ი მ ო ნ ს და დ ა ვ ი თ ს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა: ასე რომე ა ხ ა ლ გ ო რ ი ს მოურაობა ძველათგან ჩვენთა მამა-პაპათაგან თქვენს მამა-პაპათა წყალობა სჭირებოდათ (საქართველოს სიძველენი, 1909: 455). დავითის სიგელიდან ჩანს, რომ ფიცხელაურებს ადრეც ჰქონდათ ბოძებული ახალგორის სამოურავო (ისინი რომ წარჩინებული გვარიდან იყვნენ, ამას წილკნელის 1669 წლის გუჯარიც ცხადყოფს). არჯევანი იყო ქსნის სათავეებთან მდებარე ჟამურის ხეობის მოურავიც. იგი ფლობდა დიდძალ მიწებს, საიდანაც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა. გარდა ამისა, მოურავი მეფის ძეს გიორგის თხოვს, ახალგორელებისაგან ათის თავს: „1782, თიბათვის 18. ქ. ბედნიერის ხელმწიფის ძის გ ი ო რ გ ი ს ჭირი მოსცეს მათს მონას არჯევან ფიცხელაურსა! თქვენი მოწყალება მჭირს: ახალ-გორის მოურავი გახლავარ. რაც ახალგორი დაარსებულა, რაც თქვენგან ახალ-გორელთ შეეწირება, ხალხიდამ ათის-თავი ჩემია და მამასახლისისა. ახლა თქვენი წყალობა დაემართათ: მახთა (კომლობრივი გადასახადი - დ.ა.) გ(ა)უჭერით, გებძანებინათ, ათის-თავი მოურავს ჩვენგან მიეცემაო. ჩემო მოწყალევ! ათის-თავი არც თქვენ გიბოძებიათ, არც იმათგან მამცემია. ჩემო მოწყალევ! თუ ჩემი სარგო არ მებოძა, მე რიღით (sic) უნდა დავრჩე, ან რაღა მოხელე ვიქნები? ნება თქვენი არის"... გიორგიმ „შეიწყალა" ახალგორელთა მოურავი და ეშიკაღათბაშს სვიმონს უბრძანა საქმის მოგვარება: „ახალ-გორელთა მახთა როდესაც რომ აიღებდეს ხოლმე, ა რ ჯ ე ვ ა ნ მოურავს თავის ათის-თავს უნდა მისცემდეთ, რომ იმ მახთიდამ სამი თუმანი ერგება, და სამს თუმანს ყოველთვის უნდა მისცემდეთ მახთა(ს)" (საქართველოს სიძველენი, 1909: 459-460). ფიცხელაურს აურაცხელი შემოსავლები საშუალებას აძლევდა დღენიადაგ ეზრუნა მამულების შესყიდვასა და მიწების გაფართოებაზე, რასაც ჩვენამდე მოღწეული არაერთი დოკუმენტები ადასტურებს (საქართველოს სიძველენი, 1909).

როგორც უკვე ვთქვით, ფიცხელაურები ვერ ეგუებოდნენ ერისთავთა ბატონობას და ხშირად უპირისპირდებოდნენ. 1777 წელს, როცა ქსნის საერისთავო გაუქმდა, ამ საქმეში ერეკლე მეფის ერთგულ მხარდამჭერთა შორის ფიცხელაურებიც ყოფილან, რაც სათანადოდ უფასდებოდათ. ფიცხელაურთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ზურაბი გიორგი ბატონიშვილის 1778 წლის წყალობის წიგნით იღებს ქსნის ბოქაულთუხუცესობას, ასევე ჭურთის ხეობისა და წირქოლის მოურავობას (სცსა, ფ. 229, საბ. № 111). არჯევანს კი მოურავობასთან ერთად ქსნის სახლთუხუცესობა ებოძა (სცსა, ფ. 229, საბ. № 107).

არა მარტო საქართველოში, რუსეთის იმპერიაშიც საკმაოდ ცნობილი მოღვაწე იყო მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (დიმიტრი ფიცხელაური), ქვათახევის, შიომღვიმის, თირის, ხოფის და ლარგვისის მონასტრების წინამძღვარი, ურბნისის, გორის, ოსეთის ეპარქიის ეპისკოპოსი, ეგზარქოსის ქორეპისკოპოსი და კავკასიის მთის ქორეპისკოპოსი, გორის სავიკარიოს მღვდელთმთავარი... დოსითეოსი იკოთში იყო დაბადებული, იგი სწორედ არჯევანის მეოთხე ვაჟი გახლდათ, ისიც, თავის ძმებთან ერთად, ქსნის ერისთავების წინააღმდეგ იბრძოდა და მაინცდამაინც არც რუსული

მმართველობა მოსდიოდა თვალში, 1810 წლის მარიამობას იმპერიის გერბი ეკლესიის იატაკზე დაუნარცხებია (იხ. ნაზღაიძე, 1994).

რუსულ კამერალურ აღწერაში ფიცხელაურები მხოლოდ მიწის მფლობელებად და მებატონეებად არიან მოხსენიებული და არა ცალკე კომლებად, განსხვავებით მეთვრამეტე საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებისა. ერეკლეს დროინდელ აღწერებში, ისინი კომლადაც აღინუსხებიან და იქვე მათი ყმებიცაა მითითებული.

ერთი რამეც აღსანიშნავია, ფიცხელაურების ყმები სახაზინო გადასახადს არ იხდიან, მხოლოდ მემამულეების წინაშე არიან უშუალოდ პასუხისმგებელნი.

მივყვეთ აღწერას.

ერისთავის მიწაზე მცხოვრები ქართველები:

1) ივანე გაგაური შვილი (გიგაური - დ.ა), 1 კომლი, 5 მამაკაცი, 6 ქალი, 14 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, აქვს 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადახდილი აქვს ხორბალი 3 და ქერი 2 კოდი, ფული - 50 კაპიკი, კარაქი 2 ფუთი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 4 მანეთი და 49 1/2 კაპიკი.

2) ბერი გიგაური შვილი, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 15 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 480 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 4 მანეთი და 42 1/2 კაპიკი.

3) პეტრე გიგაური შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 300 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს თითო-თითო კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1 ფუთი, ფული - 20 კაპიკი, ქათამი და 2 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 82 კაპიკი.

4) ბერი გიგაური შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 82 კაპიკი.

5) მახარა ხუცი შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, გადახდილი აქვს ნახევარ-ნახევარი კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, ნახევარი ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 78 1/2 კაპიკი.

6) ფოცხარი გიგაური შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

7) ნინია გიგაური შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 4 ქალი, 9 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

8) დათუნა გიგაური შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

9) ბერი გიგაური შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 წისქვილი, 1 ბაღი, მოჰყავს 10 კოდი პური, 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

10) გოგია გიგაური შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 6 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

11) ზურაბ გიგაური შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

12) ვასილი მამარნეშვილი (მემარნიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, მიწა არა აქვს და გადასახადიც არ გადაუხდია, გამომუშავებაზეა.

13) ბერი გიგაური შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

14) შიო გიგაური შვილი, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 10 ქალი, 30 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 360 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 2-2 კოდი ხორბალი და ქერი, 1 ცხვარი, კარაქი 2 ფუთი, ქათამი და 5 კვერცხი, ფული - 50 კაპიკი, სულ: 4 მანეთი და 62 1/2 კაპიკი.

15) ზურაბ გიგაური შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ნახევარ-ნახევარი კოდი ხორბალი და ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 75 კაპიკი.

16) ივან ზანგურაშვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 75 1/2 კაპიკი.

17) იესე ზანგურაშვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 75 1/2 კაპიკი.

18) ოთარ გიგაური შვილი, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 3/4 კოდი ხორბალი და 3/4 კოდი ქერი, კარაქი 1 ფუთი, ნახევარი ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

19) ბერუკა გერიტა შვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 22 1/2 კაპიკი.

20) პეტრე ჯანგურა შვილი (ზანგურაშვილი - დ.ა), 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/8 კოდი ხორბალი და 1/8 კოდი ქერი, კარაქი 1/8 ფუთი, 1/8 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 20 1/2 კაპიკი.

21) გოგილა ბაშარული შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი... 1 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 20 1/2 კაპიკი.

22) ნინია გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი და 1/4 კოდი ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 40 1/2 კაპიკი.

23) ზურაბ გარიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 5 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 180 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

24) ბერი გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 36 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

25) გიორგი გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2

ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

26) შიო ბაშარული შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 24 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი და 1/4 კოდი ქერი, კარაქი 1/4 ფუთი, 1/4 ქათამი და 1 კვერცხი, სულ: 40 1/2 კაპიკი.

27) ბერი ბაშარულა შვილი (ბაშარული - დ.ა), 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

28) ქიტესა ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

29) პატარკაცი ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

30) მამუკა ბაშარაულიშვილი (ბაშარული - დ.ა), 1 კომლი, 1 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

31) გრიგორა ბაშარულაშვილი (ბაშარული - დ.ა), 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

32) თადილა გრიტაშვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 3 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 84 თუნგი ღვინო, გადახდილი აქვს ასევე 40 1/2 კაპიკი.

33) ქიტესა ხუჯანა შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, მიწა არა აქვს და გადასახადიც არ გადაუხდია, გამომუშავებაზეა.

სულ თავად ერისთავის მიწაზე ცხოვრობს 33 ოჯახი, 105 მამაკაცი, 109 ქალი, მათ მფლობელობაშია 173 დღის სახნავი მიწა, 30 ყურძნის ბაღი, მოჰყავთ 4944 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 36 მანეთი და 5 1/2 კაპიკი.

წყაროში არაა დაკონკრეტებული თუ რომელ ერისთავს ან ერისთავებს ეკუთვნოდა იკოთში ყმები, მაგრამ 1802 წლის 20 მაისის ქსნის ერისთავთა გაყრის წიგნით ცნობილია, რომ იკოთი, ძეგლევთან ერთად, თავის ყმებით და მამულით შანშეს და მის ძმებს რგებიათ. (გსიემ, 1956: 428)...

ნიკოლოზ ფიცხელაურავის მიწაზე მცხოვრებნი:

34) გიორგი ბაშარული შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო. გადასახადს მემამულეს უხდიან.

35) მამუკა ბაშარულიშვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო.

36) გიორგი ბაშარულიშვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო.

37) გოგილო ბაშარული შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 48 თუნგი ღვინო.

38) იასე გრიტა შვილი (გვრიტიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 4 მამაკაცი, 6 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 240 თუნგი ღვინო.

39) ბერო დოლე შვილი (დვალიშვილი - დ.ა), 1 კომლი, 7 მამაკაცი, 3 ქალი, 20 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

40) ხ(ვ)თისავარ გიგაური შვილი, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 7 დღის მიწა.

41) ივან გიგაური შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 9 დღის მიწა.

42) დათუნა ჯამაგიძე, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის მიწა.

იოსებ ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები:

43) ისეია ბაშარულაშვილი (იესე ბაშარული - დ.ა), 1 კომლი, 4 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 72 თუნგი ღვინო, იხდის მემამულის დაკისრებულ გადასახადს.

ბეჟან ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

44) ქიტესა ნიაურიშვილი, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

45) პეტრე ნიაურიშვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 7 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

46) დათუნა ნიაური შვილი, 1 კომლი, 6 მამაკაცი, 4 ქალი, 10 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 150 თუნგი ღვინო.

ამირან ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრებნი:

47) ელიზბარ ნიაური შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 4 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 60 თუნგი ღვინო.

48) გლახა ნიაური შვილი, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

49) ბერი ნიაური შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო.

გიორგი ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები:

50) გიორგი ნიაური შვილი, 1 კომლი, 7 მამაკაცი, 3 ქალი, 15 დღის მიწა, 1 ბაღი, მოჰყავს 30 თუნგი ღვინო.

ნიკოლა ფიცხელაუროვის მიწაზე მცხოვრები:

51) გიორგი ზანგურაშვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის მიწა.

ფიცხელაურების მიწაზე ცხოვრობს 74 მამაკაცი, 50 ქალი, მათ მფლობელობაშია 121 დღის სახნავი მიწა, 14 ყურძნის ბაღი, მოჰყავთ 1488 თუნგი ღვინო. გადასახადს მემამულეებს უხდიან...

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ფიცხელაურების საკუთრებაშია 165 დღის მიწა, 18 ყურძნის ბაღი, საიდანაც იღებენ 2910 თუნგ ღვინოს.სულ სოფელ იკოთში ცხოვრობს 179 მამაკაცი, 159 ქალი, მათ მფლობელობაშია 459 დღის სახნავი მიწა, 2 წისქვილი, 62 ყურძნის ბაღი, მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო. სახაზინო გადახდილი აქვთ 36 მანეთი და 5 1/2 კაპიკი (დოკუმენტი №7486: 12-20.).

სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა გიგაურები არიან - 16 კომლი, მათი დიდი ნაწილი ერისთავის მფლობელობაშია - 14 ოჯახი, 2 ოჯახი ნიკოლოზ ფიცხელაურის მიწაზეა დამკვიდრებული... 4 კომლი ზანგურაშვილები არიან, 7 კომლი - გვრიტიშვილები, 12 - ბაშარული, 7 - ნიაური, ისინი ბეჟან, ამირან და გიორგი ფიცხელაურების ყმები არიან, თითო კომლი ხუციშვილი, დვალიშვილი, ხუჯანაშვილი, ჯამაგიძე და მემარნიშვილია... როგორც ჩანს, მემარნიშვილები გიგაურებისაგან განაყარი შტოა, 1783 წლის აღწერაში ვხვდებით - კომლს გიგაურს და ოჯახის წევრს - მემარნე ბერს...

თუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში 51 ოჯახი ცხოვრობდა, 338 მოსახლით, იმავე საუკუნის ბოლოსთვის, 1886 წლის აღწერით, კომლების რაოდენობა 117-მდეა გაზრდილი, მცხოვრებთა რაოდენობა კი 725-ია. აქედან, 724 ქართველია, 1-ოსი...

როგორც პირველი რუსული კამერალური აღწერიდან ჩანს, იკოთის მიწები მოსავლიანია და სახნავად მთლიანად გამოსადეგი, მემინდვრეობისა და მევენახეობის ხვედრითი წილი მაღალია... 62 ყურძნის ბაღი აქვთ და მოჰყავთ 9342 თუნგი ღვინო... 1816 წელს შედგენილი ბატონიშვილების ყოფილი ქონების აღწერაში მკვეთრადაა შემცირებული ღვინის ბაღების რაოდენობა, იმ დროისთვის იკოთში მითითებულია 30 ღვინის ბაღი და წლიური მოსავალი - 5000 თუნგი ღვინო... რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ 1804 წელს იკოთის მცხოვრებთა სიაში ახლოს მდებარე უბნებისა და სოფლების მოსახლეობაც გააერთიანეს. ზოგადად, იკოთში მევენახეობა იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ მას, იკოთელების გადმოცემით, პატარა კახეთად მოიხსენიებდნენ (გვრიტიშვილი, 1955: 156, სქოლიო).

თავისი საკუთარი „ხატის ვენახი" ჰქონდა სოფლის დასავლეთით, შაოსანთა მთაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, სადაც ღვინოს წურავდნენ.

XIX საუკუნის 70-ან წლებში იკოთში ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურთან სტუმრად მყოფ ილიას ძალიან მოსწონებია იკოთური ღვინოები და იქაური გლეხებისთვის ურჩევია ვაზის კულტურა ფართოდ დაენერგათ (ცაგურიშვილი, 2007ა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მევენახეობასთან ერთად სოფელში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მემინდვრეობა, მოჰყავდათ პური, ხორბალი, ქერი... მისდევდნენ ასევე მესაქონლეობას. გადასახადს მესაქონლეობის ნაწარმითაც იხდიდნენ, მაგალითად - კარაქით... გადასახადში ასევე შედიოდა ქათამი და კვერცხი. ნატურით გადასახადს ნაღდი ფულიც ემატებოდა.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ იკოთში მცხოვრები გვრიტიშვილების შესახებ. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, მათი წინაპრები ხანდოდან იყვნენ, ხანდოში კი თუშეთიდან გადმოსახლებულან. ინფორმატორის ცნობით, რომელიც სოფელ ზემო ბულაჩაურში მცხოვრები გვრიტიშვილია: „ქსანზე რომ არიან, სოფელ იკოთში, ესენიც ხანდოდან არიან წასულები ადგილის სივიწროვის გამო. ადგილი აღარ იყო, ცხოვრება ჭირდა. ესენიც ხანდოში მოდიან ხოლმე სალოცავად; არიან კიდევ გვრიტიშვილები მანგლისში, ზემო ქედში. ღარისწყალიდან ნელ-ნელა ჩამოსახლდა ხალხი ბულაჩაურში 1962 წელს. ღარისწყალაში იყვნენ: გვრიტიშვილი, ქავთარაძე, წიკლაური, ბიბილაშვილი. ეგრე გამიგია ჩვენი წინაპრებისაგან, რომ თუშეთიდან ვყოფილვართ გამოქცეულიო. ლამაზი კაცი ყოფილა, გვრიტი, გვრიტიო და დაერქვა გვრიტიშვილი“ (თოფჩიშვილი, 2002: 20). რაც შეეხება აღწერაში ნახსენებ დოლეშვილს, რომელიც ადრინდელი დვალიშვილია, გვარმა განიცადა ცვლილება და მოგვიანებით მივიღეთ დოლიშვილი, რასაც ადასტურებსსაფლავისქვებისეპიტაფიებიდაწარწერასაწინამძღვრეჯვარზე, რომელშიც ნათქვამია, რომ დვალიშვილმა ეს ჯვარი დოლიშვილებისა

და ზოგადად, იკოთელების საერთო სალოცავს ახშადის წმინდა გიორგის შესწირა. დვალიშვილების თავდაპირველი სამკვიდრო ისროლისხევი ყოფილა (თოფჩიშვილი, 2002: 36). იკოთის მკვიდრი ფიცხელაურების მონათხრობით, ქსნის ხეობაში და კერძოდ, იკოთში დამკვიდრებისას, მათ მოიყოლეს თავიანთი ყმები: გიგაურები და წიკლაურები, წიკლაურებმა კი შემდეგ ბაშარულობა მოინდომეს ო. თვითონ „ქსნის ხეობელი ფიცხელაურები" იკოთის გარდა ცხოვრობდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც, მაგალითად: ქვემო ბოლში, წირქოლში... თეა ცაგურიშვილის ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდელმა ჩანაწერმა შემოგვინახა არქიეპისკოპოს დოსითეოსის შთამომავლის, ნიკოლოზ ფიცხელაურის წუხილი სოფელში ფიცხელაურების შეცოტავების გამო: „ექვსი ოჯახი ვიყავით და ახლა მეღა დავრჩი ჩემი შვილებითო" (ცაგურაშვილი, 2007). 2016 წლის მონაცემებით ახალგორის მუნიციპალიტეტში სულ 24 ფიცხელაურია დაფიქსირებული, ზოგადად საქართველოში კი 1859 ადამიანია, ძირითადად, თბილისში - 774, ყაზბეგში - 245, თელავში - 214, დუშეთში - 115, გორში - 100, ახმეტაში - 94, მცხეთაში - 40 და ა. შ. (კვაჭანტირაძე, 2017: 478). ფიცხელაურების გარდა ცნობილია გვარები ფირცხალაური სულ - 6 და ფირცხელაური - 15 (კვაჭანტირაძე, 2017: 477-478).

ცნობილ ეთნოგრაფს გიორგი ჩიტაიას ქსნის ხეობაში მოგზაურობის დროს შეუმჩნევია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უბნებს ცალკე სოფლებად ასახელებდნენ. იკოთში იმ დროისთვის ხუთი უბანი ყოფილა: ზემო იკოთი, ქვემო იკოთი, ზანგურაანი, ნიაურები, გიგარაანი. თუმცა ამ უბნების მკვიდრნი საბუთებში ერთი სოფლის მოსახლეობად იყვნენ რეგისტრირებულნი (ჩიტაია, 1939: 283).

ზემო იკოთის ძველი მოსახლეობა, ძირითადად, გვრიტიშვილები და ბაშარულები ყოფილან, იქაც, ამ გვარების დასახლების მიხედვით, ცალკე უბნები იყო. თითოეული გვარი, თავის მხრივ, შტოებად იყოფოდა, მაგალითად, გვრიტიშვილები: ზურაბიანი, გიგიანი, პაპალაანი, ხახალაანი და ა.შ.

XXI საუკუნის დასაწყისში, 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, იკოთის მცხოვრებთა რიცხვი 1089 ადამიანს შეადგენდა, 542 მამაკაცი, 547 ქალი, მოსახლეობის 97 % ქართველი იყო (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 118) ბოლოს აქ ცხოვრობდნენ: გიგაურები, ზანგურაშვილები, ბაშარულები, ნიაურები, გიგნიაშვილები, მამამთავრიშვილები, ფსუტურები, ფიცხელაურები, ოსიშვილები, გვრიტიშვილები, თორელაშვილები, გუთნიაშვილები, ჯანგირაშვილები, მელთაურები, მემარნიშვილები, მახარაშვილები, ბუნტურები, წახილოვები, დოლიშვილები, ჭიხინაშვილები, იმნაძეები, გელაშვილები, ქაწაშვილები, ჩიტაშვილები, მაწიაშვილები, ქუტაშვილები, გოგებაშვილები, ჩოხელები, ილურიძეები, ჩოჩელები, ჯანაშვილები, ნათაძეები, მანჯიკაშვილები, გურწიშვილები, ქუძიევები, ბარისოვები და სხვები.

2008 წლის აგვისტოს ომმა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციამ მძიმე დააღი დასვა ქსნის ხეობის სოფლებს, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, უფრო მეტიც, ზოგიერთი სოფელი,

განსაკუთრებით მაღალმთიან ზოლში, მოსახლეობისგან მთლიანად დაიცალა, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, დავიწყებას ეძლევა ხეობისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტები. იკოთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს დევნილთა სხვადასხვა დასახლებებში ცხოვრობს.

დასკვნა

ჩვენს ხელთ არსებული საერო თუ საეკლესიო სიგელ-გუჯრების, დემოგრაფიული ნუსხების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ მემორიარული ხასიათის ჩანაწერების საფუძველზე შესწავლილია ქსნის ხეობის ისტორიულ სოფელ იკოთის წარსული და დღევანდელობა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ სოფელში მოსახლეობა უძველესი დროიდან, კერძოდ, ბრინჯაოს ხანიდან სახლობდა. თუმცა, ისტორიული კატაკლიზმებიდან გამომდინარე, როგორც ქსნის ხეობის ბარის სხვა სოფლებში, აქაც დემოგრაფიული ვითარება ხშირად იცვლებოდა.

იკოთის, როგორც ისტორიული სოფლის ღირებულება განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც აქ ფიცხელაურები დასახლდნენ, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მარტო ქსნის საერისთავოს, არამედ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

ცნობილია, რომ ფიცხელაურების სოფელი ხშირად ექცეოდა როგორც ქართველი მეფეებისა და დიდგვაროვნების, ისე ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა თვალსაწიერში. ამ სოფელს სტუმრობდნენ ისეთი დიდი ერისკაცები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, შიო არაგვისპირელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე... სავალალოა, რომ დღეს იგი ოკუპირებულია და საპატიო სტუმრები კი არა, ამა სოფლის მკვიდრნიც ვეღარ ახერებენ მშობლიურ სანახებში დაბრუნებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

akhlouri, d. (2020). *Akhalgoris toponimebi. goris sakhelmtsifo sastsavlo universitetshi merve saertashoriso sametsniero konferencia midzghvnili iakob gogebashvilisadmi.* gori. (ახლოური, დ. (2020). *ახალგორის ტოპონიმები. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილისადმი.* გორი.).

akhlouri, d. (2021). *ksnis kheobis istoria.* t. II. tbilisi: gamomtsemloba “saari”. (ახლოური, დ. (2021). *ქსნის ხეობის ისტორია.* ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საარი")

akhlouri, d. (2022). *ksnis kheobis istoria*. t. III. Tbilisi: gamomtsemloba “saari”. (ახლოური, დ. (2022). *ქსნის ხეობის ისტორია.* ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საარი")

akhlouri, d. (2022). gzebi ksnis kheobashi. *goris sakhelmtsipo universitetis saertashoriso sametsniero zhurnali „istoria, arkeologia, etnologia".* № VIII. (ახლოური, დავით. (2022). გზები ქსნის ხეობაში. *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია".* № VIII.)

bagrationi, i. (1986). *kartl-kakhetis aghtsera*. teksti gamosatsemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba") (ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".).

gabashvili, v. (2018). statiebis krebuli. t. lll, tbilisi. (გაბაშვილი, ვ. (2018). სტატიების კრებული. ტ. III. თბილისი.).

gvritishvili, d. (1955). *feodaluri sakartvelos sotsialuri urtiertobis istoriidan (kartlis satavadoebi).* tbilisi: gamomtsemloba "sakhelgami". (გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი".).

gvritishvili, d. (1955). *narkvevebi sakartvelos istoriidan.* t. lll, tbilisi. (გვრიტიშვილი, დ. (1968). ნ*არკვევები საქართველოს ისტორიიდან.* ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.).

giuldenshtedtis mogzauroba sakartveloshi (1964). germanuli teksti kartuli targmaniturt gamostsa da gamokvleva daurto gia gelashvilma. t.II. tbilisi, sakartvelos ssr metsnierebata akademiis gamomtsemloba. (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1964). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. ტ. II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა)

dokumenti № 7486. goris istoriul-etnografiuli muzeumi. (დოკუმენტი №7486. გორის ისტორიულ- ეთნოგრაფიული მუზეუმი.).

dokumentebi sakartvelos sotsialuri istoriidan. batonkmuri urtiertoba (XV-XVII ss.). (1940). *n.berdzenishvilis redakciit.* tbilisi: ssr kavshiris metsnierebata akademiis sakartvelos filialis gamomtsemloba. (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVII სს.). (1940). *ნ. ბერძენიშვილის რედაქციით*. თბილისი: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.).

taqaishvili, e. (1951). ksnis saeristavos statistikuri aghtseriloba. *stalinis sakhelobis tbilisis sakhelmtsipo universitetis shromebi*. t. 45. tbilisi. (თაყაიშვილი, ე. (1951). ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. 45. თბილისი).

tbilisis vilaietis didi davtari. (2009). 1728 tslis tbilisis vilaietis didi davtari. tsignil I. osmaluri teksti kartuli targmanit, shesavlit, gamokvlevita da paksimileebit gamosatsemad moamzades akad. s. jikiam da prop. n. shengeliam. tbilisi. (თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. (2009). 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. თბილისი)

Ikoti. (1980). *kartuli sabchota entsiklopedia*. t. 5. tbilisi. (იკოთი. (1980). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 5. თბილისი.).

kvachantiradze, k. (2017). *kartuli da kartul-ebrauli gvar-sakhelebi.* tbilisi:

gamomtsemloba „meridiani“. (კვაჭანტირაძე, კ. (2017). *ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები.* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი".).

latsabidze, t. (2022). 1728 tslis tbilisis vilaietis didi davtari khashuris munitsipalitetis shesakheb (mosakhleoba da ekonomikuri mdgomareoba). gazeti *“khashuris moambe”.* №36 (360). 3 oktomberi. (ლაცაბიძე, თ. (2022). 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ (მოსახლეობა და ეკონომიკური მდგომარეობა). გაზეთი *„ხაშურის მოამბე“.* №36 (360). 3 ოქტომბერი.)

muskhelishvili, d. tskitishvili, g. (1960). shida kartlis 1955 tslis dazverviti ekspediciis shedegebi, *sakartvelos istoriuli geografiis krebuli.* t. l. tbilisi. (მუსხელიშვილი, დ. ცქიტიშვილი, გ. (1960). შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.* ტ. I. თბილისი.)

nazghaidze, a. (1994). *picxelaurebi.* tbilisi. (ნაზღაიძე, ა. (1994). *ფიცხელაურები.* თბილისი)

otkhmezuri, g. (1996). shida kartlis mtianetis epigrafika. *osta sakitkhi.* gori-tbilisi: gamomtsemloba “pitagora”. (ოთხმეზური, გ. (1996). შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. *ოსთა საკითხი.* გორი - თბილისი: გამომცემლობა „პითაგორა")

sakartvelos mosakhleobis... (2003). sakartvelos mosakhleobis 2002 tslis pirveli erovnuli sakoveltao aghtseris dziritadi shedegebi (sakartvelos soplebis mosakhleoba). t. II. tbilisi. (საქართველოს მოსახლეობის... (2003). საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა). ტ. II. თბილისი.).

sakartvelos sidzveleni. (1909). ekvtime takaishvilis redaktorobit. t. II. tpilisi. (საქართველოს სიძველენი. (1909). ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. II. ტფილისი.).

sakartvelos sidzveleni. (1910). ekvtime takaishvilis redaktorobit. t. III. tpilisi. (საქართველოს სიძველენი. (1910). ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. III, ტფილისი).

sakartvelos tsentraluri saistorio arkivi(stssa). pondi № 229, davtari 4, sabuti № 107. (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი(სცსა). ფონდი № 229. დავთარი 4. საბუთი № 107.).

sakartvelos tsentraluri saistorio arkivi (stssa). pondi № 229. davtari 24. sabuti № 111. (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი № 229. დავთარი 24. საბუთი № 111.).

shengelia, n. (1960). osmaluri gadasakhadebi da valdebulebani „gurjistanis vilaietis didi davtris" mikhedvit. *tbilisis sakhelmtsipo universitetis shromebi.* t. № 91). (შენგელია, ნ. (1960). ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. № 91.).

shengelia, n. (1974). XV-XIX *saukuneebis sakartvelos istoriis osmaluri tsqaroebi.* tbilisi: tbilisis universitetis gamomtsemloba. (შენგელია, ნ. (1974). XV-XIX საუკუნეების *საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა)

chitaia, (1939). ekspeditsia ksnis kheobashi, enis, istoriisa da materialuri kulturis istoriis institutis moambe, t. lV, tbilisi. (ჩიტაია, გიორგი. (1939). ექსპედიცია ქსნის ხეობაში, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV. თბილისი)

chubinashvili, (1846). krestomatia, natsili I, sankt-peterburgi. (ჩუბინაშვილი, დავით. (1846). ქრესტომათია, ნაწილი I, სანქტ-პეტერბურგი)

tsagurishvili, t. (2007). ksnis xeoba. ikoti. zhurnali „*karibche*“. № 1 (ცაგურიშვილი, თ. (2007). ქსნის ხეობა. იკოთი. ჟურნალი „*კარიბჭე*“. № 1 .).

javakhishvili, i. (1928). *Kartuli samartlis istoria.* tsigni ll. nakveti l. tbilisi. (ჯავახიშვილი, ივანე. (1928). *ქართული სამართლის ისტორია.* წიგნი II. ნაკვეთი I. თბილისი.).

javakhishvili, i. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi. tsigni l. demograpiuli dzeglebi. aghmosavlet sakartvelos XVlll saukunis khalkhis aghtseris davtrebi.* tbilisi: gamomtsemloba „metsniereba". (ჯავახიშვილი, ი. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. წიგნი I. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება")

javakhishvili, i. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi (XIII-XIX).* tsigni II. tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”. (ჯავახიშვილი, ი. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.).* წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".).

Akti sobrannie kavkazskoi arxeograficheskoi komissiei. (1868). T.II.Tiflis. Акты собранные Кавказской археографической комиссией. (1868). Том II. Тифлис.).